6/13

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ. თელავი 26 იანვარი 2018 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 18

## თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ“ ქვეპუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 103-ე მუხლის და 106¹-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისაღებ შემდეგ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით:

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ.

2. სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ

5. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №11 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №12 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №13 დადგენილებაში ,, თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №14 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №15 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

11. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.

12. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №19 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

13. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №23 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

14. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №10 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
15. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
16. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
17. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
18. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა პროექტები განიხილონ 2018 წლის 5 თებერვლამდე.
მუხლი 3. საკრებულოს სხდომის პროექტები წარადგინონ 2018 წლის 20 თებერვლამდე.
მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე